ბიბიგონი

23

გამოცემის 52-ე წელი, (№ 1465). დეკემბერი. 1975. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საკვირველია, ამ კაცმა ამ პატარა ფარდულიდან როგორ გამოატია ამხელა სახლ-კარი?!

ნახ. ჯ. ლოლუაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

— ადე, მიხედე გავშვს, თორემ სულ დაგვიჩაგრეს ამ პროგრამეგით!

ქორწინება დიფლომატიაზე

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მმაჩის ბიუროში ორი ახალგაზრდა (რა თქმა უნდა, ქალ-ვაჟი) იწერდა ჯვარს (ახლებურად რომ ვთქვათ, აქორწინო რეგისტრაციაში ტარდებოდნენ).

ვაჟი გაშტერებული იდგა და მარჯვენა ფეხის თითით იატაკზე რაღაც რვიანის მსგავსს ხაზავდა...

ქალიშვილს უფრო თამამად ეჭირა თავი; იგი ხან საყვედურის გამომხატველი სახით გადახედავდა გულისსწორს, ხან გამამხნევებლად უმზერდა.

— თქვენი გვარი და სახელი? — შეეკითხა ქალს მმაჩის ბიუროს გამგე.

— მანანა ევგენიძე ვახლავართ! — უპასუხა ქალმა.

— თქვენ, ვაჟკაცო?

— ჩიგოგიძე გახლავთ, სახელად გია ჰქვია! — დაასწრო პასუხი ქალმა.

— დიახ, ეგრეა, — ვაიმეორა ვაჟმაც.

მმაჩის ბიუროს გამგემ პასპორტებს დახედა, ქორწინება სარეგისტრაციო ჟურნალში გაატარა და ქალიშვილს შეეკითხა:

— რომელი გვარი გინდათ ატაროთ დაქორწინების შემდეგ?

— რა თქმა უნდა, ჩიგოგიძე! — სწრაფად უპასუხა მანანა ევგენიძემ.

— გილოცავთ! მზე და მთვარესავით შებერებოდეთ ერთმანეთს! — დალოცა მმაჩის ბიუროს გამგემ დაქორწინებულები, ხელი ჩამოართვა და ქორწინების მოწმობა გადასცა ამიერიდან ჩიგოგიძედ წოდებულ მანანას.

ახალდაქორწინებულებმა ერთი კი წაიბუტბუტეს „გმადლობთო" და გაბუტულებივით გავიდნენ ოთახიდან.

ქალიშვილმა ვაჟს პასპორტი გამოართვა, მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და დაშორდა... სამუდამოდ! პასპორტი მის ნამდვილ მფლობელს დაუბრუნა, ქორწინების მოწმობის შესაბამისად ახალი პასპორტი აიღო ჩიგოგიძის გვარზე, ბინაც გამოიცვალა და ახალ ბინაში ჩაეწერა, როგორც ჩიგოგიძე მანანა გიორგის ასული და ყოველმხრივად დაიარხეინა გული.

ამ ქორწინების მეორე მოქმედება პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში განქორწინებით დაიწყო. მთავარ მოქმედ გმირად გ. ჩიგოგიძე გამოვიდა.

— მოსარჩლე ჩიგოგიძე! — იკითხა მოსამართლემ.

— მე გახლავართ! — უპასუხა გ. ჩიგოგიძემ.

— მოპასუხე მანანა ჩიგოგიძე!

მანანა არსად ჩანდა.

— სად არის თქვენი მეუღლე? — შეეკითხა მოსამართლე მოსარჩლეს.

— არ მოსულა, ბატონო! ის არცაა ჩემი მეუღლე! — უპასუხა გ. ჩიგოგიძემ.

— აბა, ვის სცილდები, თუ მეუღლე არა გყავს?

— მან ჩემს პასპორტზე იქორწინა და არა ჩემზე!..

— როგორ თუ პასპორტზე?

— ასე მოხდა, პატივცემულო მოსამართლე! მე და მანანა ევგენიძეს გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ არასდროს შევპირებივარ, ცოლად შეგირთავ-მეთქი გვიყვარდა ერთმანეთი და ერთად ვსეირნობდით. ეს იყო და ეს. მეხვეწებოდა, ხელი მოვაწეროთო, მაგრამ მე უარს ვეუბნებოდი. ერთ დღეს პასპორტი და სამსახურის ცნობა მთხოვა, განვადებით რადიომიმღები გამომაქვს და ჩემი პასპორტი ვერ ვნახეო. მეც გავბრიყვდი და მივეცი, მან ჩემი პასპორტით სხვა მიიყვანა მმაჩის ბიუროში და...

საქმე გადაიდოს სხვა დროისათვის და მოპასუხე დაუყოვნებლივ იქნეს მოყვანილი სასამართლოში! — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იმ დღეს სასამართლომ.

საქმე სხვა დროისთვისაც გადაიდო მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო. მანანა გაურბოდა სასამართლოში გამოცხადებასა და დანაშაულის აღიარებას. ბოლოს საქმე უომისოდ განიხილეს და ქორწინებაც გააუქმეს.

ჩიგოგიძედ წოდებული მანანა კვლავ ევგენიძედ დარჩა, მაგრამ პასპორტი ჩიგოგიძის გვარზე აქვს.

ახლა გადასაწყვეტია ამოცანა: ვინ შეაბამს მანანას ეჟვანს, ვინ შეუცვლის პასპორტს და ვინ ჩაუწერს შიგ თავის ნამდვილ გვარს?

ვასილ ხმალაძე

ეგზეკვერული ფარული ბ. ფირცხალავასი

საიუბილეო სალაღობო—

არჩილ ჩხარტიშვილს

დიდ იუბილეს ვულოცავ
რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილს! —
იგი საბჭოთა კავშირის
არის სახალხო არტისტი!

ბევრ თეატრს ურეჟისორა!
(ამის შესახებ დრო გვეტყვის!)
და არ მოჰკვეთა ქართული
მარჯვენა ვაჟას „მოკვეთილს“!

მაღალი ხელოვნებისთვის,
ზოგჯერ, ბატონი არჩილი,
მკრეხელებს ეომებოდა,
როგორც არწივი დაჭრილი!..

დღეს ჩვენი ფილარმონიის
მოამაგეა ნამდვილი!
დადგმა ურთულეს კონცერტთა
იმისთვის არის ადვილი!

არ უფიქრია მას წაღმა
სცენის უკუღმა ტრიალი!
ბრძანდება სულით პოეტი,
ლექსის უსაზღვროდ ტრფიალი!

თევზაობა ხომ არჩილის
უპირველესი ჰობია?! —
ვინ დათვლის, ხათრით მის ანკესს
რამდენი თევზი მობმია?!

არის საამო ჯენტლმენი,
ენამზე, ენამახვილი,
იუმორმომადლებული,
სითბოდ და სიტკბოდ დაღვრილი!

სცენური ხორცი შეასხა
„ოიდიპოსს“ და „ბახტრიონს“!..
დავუდგათ იუბილეზე
ბაჯაღლო ოქროს ტახტიო!..

შემოვუჯაროთ გარშემო
მეზურნეები ბებერი —
არჩილის მოთაყვანენი
და დუდუკებით მქებელნი!

...სამოცდაათი წლისაა
და ძველებურად არჩილობს!..
მისი ღვაწლი და ამაგი
ამქვეყნად ვერვინ დაჩრდილოს!

მეტს არ მითმობენ ადგილს და...
დიდ ბოდიშს ვიხდი არჩილთან!
მთელი გვერდი რომ დაეთმოთ,
მე საბოდიშო რა მჭირდა?!.

ზაურ ბოლქვაძე

ეშმაკი რომ ჭრელთვალება იყო ეს ჯერ კიდევ პაპაჩემისაგან გამეგონა. ისიც ვიცოდი პაპასაგან, რომ გუდაფშუტა სოკოს ეშმაკის ბურნუთი ერქვა. მიკვირდა: ძაან მიამიტები ყოფილან-მეთქი უწინდელი ეშმაკები. აბა, ახლანდელი ეშმაკი გუდაფშუტას ბურნუთად როგორ იკადრებს?

ჩემ წინ ჭრელთვალება კაცი იდგა და გაკვირვებით შემომყურებდა...

— კიბო მინდა, — ვუთხარი და ჯიბეზე გავივლე ხელი.

ეშმაკს ნესტოები აუთრთოლდა, გაღიმება დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. ეშმაკი, აბა, რის ეშმაკი იყო, თუ არ ეცოდინებოდა, რომ ჯიბე ბურნუთით მქონდა სავსე? ხელიდან ხელში გადავეცი და შევცინე. მასაც აუჟუჟუნდა მარღი თვალები.

— კიბო მძიმეა, დიაბეტს მოგცემ, — მითხრა დამრიგებლური კილოთი.

— დააწონე რამე! — შევეხვეწე.

— დიაბეტი, ჩიყვი და თიაქარი — მითხრა და, ქაღალდებით ხელში, ახლა მეორე ეშმაკისაკენ გამგზავნა.

მეორე ეშმაკი სათვალიანი კაცის დინჯი იერით შემომეგება, გამიღიმა და სისხლი მომთხოვა. შევეხვეწე, სისხლს ნუ გამიშრობ-მეთქი.

— სისხლი რად გინდა, ბურნუთი არ გირჩევნია? — ჯიბისაკენ წავიღე ხელი.

მანაც რაღაც ქაღალდი დამიმატა და ჩაბნელებულ ხაროში მიმიყვანა.

— რა გინდა? — მკითხა ხმამ სიბნელიდან.

— დიაბეტი, ჩიყვი და თიაქარი!

— დიდ ფაფას დიდი შებერვა უნდა, ბურნუთი გაქვს?

წინ გაშვერილი სავსე მუჭით ხმის მიმართულებით წავედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ანალიზები, ეს რენტგენი და ესეც სამედიცინო დასკვნა, — უდგენდა ანგარიშს პირველი ეშმაკი სულ მთავარ ეშმაკს.

მთავარმა ეშმაკმა განზე გამიხმო, მივედი და ბურნუთიანი ხელებით ვეამბორე... მაშინვე საამო ცხვირისცემინება და სიცილი აუტყდა...

ახლა პენსიაზე ვარ. კოლმეურნეობიდან აღარ მაწუხებენ. ეზოს გარეთ არ გავდივარ, ფულს თვითონ ფოსტალიონი მიზიდავს სახლში. ჩემთვის ვფუსფუსებ, უფრო ხშირად კი, ხილ-ბოსტნეულით დატვირთული, საკუთარი მანქანით მივქრივარ ბაზრებისაკენ და მივიმღერი: „არ გეგონოთ მიამიტი, სულაც არ მაქვს დიაბეტი!“

ეშმაკს რომ სული მიჰყიდო, დიდი ვერაფერი ვაჭკაცობაა, ეშმაკისაგან თვითონ უნდა იყიდო სული, ჭაშინ ხარ ბიჭი! საამისოდ კი ბურნუთი უნდა გაგაჩნდეს, ჩვეულებრივი კი არა — ეშმაკის ბურნუთი!

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. ბ. ფირცხალავასი



უტექსტოდ

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



უტექსტოდ

ნახ. ჯ. ლოლუაანი

— რა გაბრაზებს, შვილო?! მანქანა მოხოვე, — მიყიდე! თოფი მოხოვე, — მიყიდე! მეტი რაღა გინდა?!
— ქალაქში ცხოვრება მინდა-ა-ა-ა!

ანდაზები

ცა და მიწა კაცს რესტორანში ექცევაო.

დამალულ ჭირს არ მოუკლავს კაცი, ანონიმური წერილების წერას — კი.

ცვარი ცვარსა ჰკარ და წყალი მეათე სართულზეც ამოვაო.

ენას ძვალი უფროსთან ლაპარაკის დროს აქვსო.

„ჯაბნა“ საზღვარი გაძღომა არ არის, ციხეაო.

გუთანს კი უნდა ხარი, მაგრამ ცოტა ხარსაც ჰკითხეთო.

ცხრა მეჭოონეს ერთმა „მაროყნის“ გამყიდველმა აჯობაო.

ცუდად შრომას ბიულეტენზე „ჯდომა“ სჯობიაო.

ეშმაკს რომ მართლა არ სძინავს, ამას ტელეფონით გაიგებო.

პირადი მდივნის ენამ ბევრ თანამშრომელს პანღური ამოჰკრაო.

ცოდნით წარმოქმნილი სინათლის ხარჯვას მრიცხველი არ სჭირდებაო.

ვაჟა ჩორდელი

მინიატურა

— რა პროფესიისაა, შვილო, შენი საცოლე?
— ენის სპეციალისტია!..
— ენის სპეციალისტი ყველა რძალია! ხელობა რა აქვს?

ნ. იოსებიძე

რა გაყვირებთ, ამხანაგო?!.

...ყვირილზე გამომეღვიძა. ცოლი მიყვიროდა, სამსახურში გაგვიანდებაო. ნაბახუსევი თავი ძლივს ავიღე ბალიშიდან. უმცროს ბიჭს არხეინად ეძინა. ყვირილი დავაპირე, სკოლამდე დაგაგვიანდება-მეთქი, მაგრამ დროზე გამახსენდა, რომ მეორე ცვლაში იყო. ფოსტლები მოვიკითხე, თვალები გაახილე და დაინახავო, მიყვირა სიდედრმა. ჩუმად დავლიე ჩაი და გარეთ გამოვედი. ავტობუსში ვიღაცამ მიყვირა, თავზე ფეხს ნუ მადგამო. სამსახურის საადრიანზოს კარი შევაღე თუ არა, ხუთ კაცს არ ავიყვანო, იყვირა დიფეტორმა. რად იგვიანებო, მიყვირა განყოფილების გამგემ. შესვენების შემდეგ დირექტორმა განმიმეახა და ერთი მაგრად მიყვირა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ალბათ, მართალი იყო. დირექტორები ხომ ყოველთვის მართლები არიან! ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა სამსახური: შვიდის ნახევარზე ფეხბურთი იწყებოდა. სწორედ ნახევარი საათი უნდოდა სტადიონამდე მისვლას. ექვსი საათი შესრულდა თუ არა, დაღლილმა, მშიერ-მწყურვალმა და ნერვებაშლილმა სტადიონისაკენ გავსწევე. შენი ბილეთიო, მიყვირა კონტროლიორმა. ბილეთი ცხვირზე მივაწებე. ეს სხვა სექტორიაო, მიყვირა კონტროლიორის მოადგილემ. ძლივს მოვძებნე ჩემი ადგილი. თამაში ახალი დაწყებული იყო. დაბრძანდით, ბატონო, თამაშს გვაყურებინეთო, მიყვირა ტემპერამენტიანმა გულშემატკივარმა. დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს ჩავეტენე ჩემს ადგილზე. ჩვენებმა ერთი ბურთი გაატანეს, შემდეგ ძელმა იხსნა მოწინააღმდეგის კარი. არ გასულა ხუთი წუთი და... საკუთარ კარში მიიღეს იოლი ბურთი. თამაშის დასასრულს კი მსაჯმა პენალტი არ მოგვცა. აქ კი ისეთი ხმით ვიყვირე, ყველამ მე შემომხედა. არ მახსოვს, რამდენ ხანს ყვიროდი... როცა გონს მოვედი, ჩემს წინ მილიციელი იდგა:

— რა გაყვირებთ, ამხანაგო?!

გიგლა ფირცხალავა

ნახ. ა. კანდელაკიანა

უტექსტოდ

სპეკულანტი

მსუქანი ჯიბე,
მსუქანი ცოლი,
უღვთოდ ნასუქი ბავშვი...
მილიონს აძლევ
სახლსა და კარში,
ამაოდ როდი დაშვრი!
(სიდედრ-სიმამრზე უნდა ილოცო, —
გამოგიყვანეს ხალხში!).
რა თავში იხლი
ჭაბუკურ ფიქრებს,
ან აგრონომის დიპლომს?!
ვინც იმ გზას გაჰყვა,
რა შეიძინა,
შენიდან დოვლათს ვინ ფლობს?!
უმარიფათო კაცის გზა-სავალს
შენი გზა დასტურ არ ჰგავს,
აბიბინებულ ყანების შრიალს
არჩიე დახლის სარფა!
არც დოყლაპია გამყიდველს ჰგავხარ,
ხელფასზე რომ ზის მუდამ...
(შენ სხვანაირად არც კი შეგიძლო, —
ცოლს გამდიდრება სურდა!).
სინდისი?
აბა, რა სათქმელია, —
უმისოდაც გაქვს „ბლატი“!
გმირად მეგონე დაბადებული,
ხარ გმირი... სპეკულანტი!

მზია ჩხეტიანი

ნახ. ბ. ლოგვიძისა

უტექსტოდ

მოთქმა ეკლესიის ფრესკისა

I

ის ჩემს სხეულზე
დანებით ჰკვეთს
სახელებს, გვარებს!..
ასე ჰგონია
მას, ამაოდ
რომ არ დაშვრება!..
მიშველეთ რამე,
გვევდრებით,
მიშველეთ რამე! —
ხელაპყრობილი
დედა ღვთისა
გიხმობთ საშველად!..

II

ოსტატი ჩემი
კრძალულ იყო
იმდენად დიდად, —
ზედ-ეკერა ხელმყო
მე დაწერად
მისთა გვარისად!
ხოლო მან, ვინაც
აქ მოვიდა
და ჭიქებს სცლიდა,
ხელმყო, გამხადა
მართლა მტერთა
შესაბრალისად!..

ზოთა ჩოდაშნელი

კაღრი კაღრების განყოფილებიდან

ერთ-ერთი სამმართველოს კაღრების განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი შევიდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა განყოფილების გამგემ ისე, რომ არც შეუხედავს, თან ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ალო! სევასტი პროკოფიჩ! ეკანტური ადგილი მაქვს და ერთი, ჩვენ რომ ვიცით, ისეთი ინჟინერი გამომგზავნეთ!

— პატივცემულო, მეც მაგ საკითხზე მოვედი! — შეახსენა თავი ქალმა.

— თქვენ? გამოგზავნილი ხართ? —

— ჰკითხა განყოფილების გამგემ.

— მე თვითონ მოვედი.

— უმაღლესი უნდა...

— ორი დიპლომი მაქვს!

— რუსული...

— ინგლისურ და ფრანგულ ენებს ვფლობ.

— სპორტსმენი თუ...

— სპორტის ოსტატი ვარ ბირთვის კვრაში.

— ჩვენ ინჟინერთა ჯგუფისათვის ავტომანქანა გვაქვს, მძღოლი კი...

— მეორე კლასის მძღოლი ვარ!

— იცით, რა? ამ თანამდებობაზე ჩვენ მამაკაცი გვჭირდება!..

— ლეკი ლომისა სწორია...

— კი, სწორია! წაბრძანდით, ცირკში მოგაწყობენ!

მზია მეგალიშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



მინინაგადი

ნახ. ზ. ფოკრჩხიძისა



მეორე იარუსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლეებიც და მოკლეები

— პატივცემულო ექიმო! მე ისეთი სამსახური მაქვს, რომ ხშირად მივლინებით ვარ მოსკოვში. ჩავჯდები თუ არა თვითმფრინავში, გული მერევა, ორსაათნახევარი თავდაყირა ვარ დაკიდებული — ექიმის კაბინეტში ღაღადისად იღვრებოდა პაციენტი.

— იმგზავრეთ მატარებლით!

— სამი დღე მატარებელში? კოშმარია! ისეთ სიზმრებს ვხედავ, ლამის არის, ვაგონი მოხსნან ხოლმე... ეგეც არ იყოს, ახლა დროის მოგებაზე ვართ გადასულები. არც ერთი წუთი უქმად!

— ჰა, არც ერთი წუთი უქმად? დიახ, სწორი ხართ! მმმ... მაშ, გული გერევათ? — ექიმი პაციენტის დაკითხვას შეუდგა.

— დიახ.

— გამოიცვალეთ სამსახური!

— ოო, იცით რა? ეგ გზა ვცადე: გამოვიცვალე სამსახური, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, ხომ იცით, ყველა დირექტორს, უფროსს დაზვერვის უშტატო განყოფილება აქვს, ჰოდა, იქიდან ერთ-ერთმა წევრმა დამასმინა, რომ მე მოსკოვი ხუთი თითივით ვიცი და მისვლა-მოსვლაში ვარ გაწაფული. არ წავედი მივლინებაში, უფროსმა კი პირად საქმეში ჩამიწერა: **„იმის გამო, რომ ა. ნ. აკვიატაძეს აქვს უნარი მივლინებითი ოპერაციების ორგანიზებულად, პირნათლად შესრულებისა და თავს არიდებს, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური!“**

— მერედა, რატომ არ მიიტანეთ ცნობა, რომ თვითმფრინავში გული გერევათ?

— მივიტანე და უფროსმა რეზოლუცია დაადო: **„მიეთითოს ამხ. ა. ნ. აკვიატაძეს, რათა იმგზავროს ჩქარი მატარებლით!“** ახლა მატარებელში ჩემი კოშმარული ძილის შესახებ მივიტანე ცნობა. დირექტორმა დაადო რეზოლუცია: **„აღნიშნული ფაქტი შეამოწმეთ!“** ჩვენი ადგილკომის მარქაფმა თბილისი-მცხეთის გზაზე გამომცადა... აბა, რა მანძილია? თვალი როგორ უნდა მომეხუჭა? მან კი მოხსენებითი ბარათი დაუწერა უფროსს, რითაც უარყო ჩემი კოშმარული ძილი. ჩვენმა უფროსმა უჩივლა იმ ექიმს, ცნობა რომ მომცა, კოშმარი აქვსო.

— მმმ! ზევით არ გყავთ ნათესავი, რომელიც უფროსად გაგიშვებთ?

— ეგ გზაც ვცადე. აბა, მაშინ ვიყავი მივლინებებში: მოსკოვი-ომსკი-ტომსკი-ხაბაროვსკი...

— საკმარისია! მდაა! რთულ პაციენტთან მაქვს საქმე! მმმ! — საგონებელში ჩავარდნილი ექიმი ხელებს იფშვნეტდა.

— ექიმო, მიშველეთ! თვითმფრინავის გასვლას ორი საათი აკლია, მივლინებაში რომ არ წავიდე, მთელი საწარმო დარჩება პრემიის გარეშე! პირადად მე ექვსი თვისას ვკარგავ!

— მოიცა, მოიცა! გაუმარჯოს კოლუმბს, მაგელანს, არქიმედს! ვიპოვე თქვენი საშველი! — ექიმმა მამაზეციერივით აღმართა ხელები, თითქოს ხელმეორედ უნდა გადაზიდოს და ახლად გამოძერწოს პაციენტიო.

— ექიმო!..

— მოიცა! თქვენ მატარებელში არ გერევათ გული?

— არა!

— მდაა! მაშასადამე, თქვენთვის თვითმფრინავი იქნება მატარებელი, მატარებელი, მატარებელი, მატარებელი!..

შთაგონების ბურუსში გახვეული პაციენტი ჩაჯდა „ტუ-124“-ში. „ვარ მატარებელში, მატარებელში!“ — პანტომიმის დახმარებით შეასრულა ტანსაცმლის გახდის იმიტაცია, საბანიც წაიხურა... „ვარ მატარებელში, ვარ მატარებელში, მატარებელში!“ მერე ღრმად ჩაეძინა. თვითმფრინავის მგზავრები დაზაფრულები უყურებდნენ. ერთმა დაამშვიდა:

— მე ვიცნობ, პანტომიმის მსახიობია ფილარმონიიდან.

აფრენის დროს ხალხს გადააგიწყდა მიმი... მაგრამ, ნურას უკაცრავად!.. უცებ საშინელი ღრიალი ატყდა:

— მიშველეთ!... მკლავენ!... ვაიი!.. ბახ!.. ჰახ!.. ვაიმე!..

მგზავრები ჯერ სიცილით უცქეროდნენ, ფიქრობდნენ, დაოკდებაო, მაგრამ აკვიატაძემ უმატა და უმატა ძილში ღრიალს... მაშინ კი შეცბუნდნენ, შეანჯღრიეს... ღრიალი თანდათან გადაიზარდა ისტერიკაში.

— სუფთა ლეთარგიული კოშმარია! — იყვირა ვიღაცამ.

— საჭიროა ჰოსპიტალიზაცია!

— მოსკოვამდე უნდა მოვითმინოთ! იბღავლა პილოტმა.

— ეს რას ჰგავს? განა ესაა ჰუმანიზმი? დასვით თვითმფრინავი რომელიმე აეროდრომზე!

— შეიძლება ამ გადარეულის ღრიალზე ვიბრაცია მოხდეს! ჩვენ ყველანი მიწაზე დავენარცხებით!.. რა? არ გაგიგიათ, ვიბრაციით ხიდი რომ ჩაინგრა?

— ვიბრაცია?

— ვიბრაცია!

სასოწარკვეთილი მგზავრები კატეგორიულად მოითხოვდნენ მეზობელ აეროდრომზე თვითმფრინავის დაფრენას.

თვითმფრინავი მიიღეს აეროდრომზე. აკვიატაძე საკაცით გადაასვენეს სამედიცინო პუნქტში. კონსილიუმმა ითათბირა და დადგინა, ავადმყოფი ტერიტორიალურად და ავადმყოფობის სირთულითაც მოსკოვს ეკუთვნისო.

... აკვიატაძე ჩქარი მატარებლით მიჰქროდა მოსკოვისაკენ. საშინელ კოშმარებში იყო, დროდადრო შუბლზე ცივ ტილოებს ადებდნენ. ორსაათ-ნახევარი გავიდა თუ არა, აკვიატაძემ თვალები ჭყიტა, კუპე რომ დაინახა, თვალები საცერივით გაუხდა: „მე ხომ თვითმფრინავში ვიჯექი? არა, არა, ეს თვითმფრინავია, თვითმფრინავი!...“ ნეტარებით დახუჭა თვალები, გარკვევით ესმოდა მოტორების გუგუნი, შუილი... როცა ყველაფერი ეს შთაიგონა, აუტყდა საშინელი, სპაზმური პირღებინება, მთელი ვაგონის მგზავრები თავზე წამოადგნენ.

— გააჩერეთ მატარებელი! მოწამლულია!

— შეიძლება, ინფარქტიც არის!

— ვიღაცამ სამუხრუჭე ონკანი გადმოსწია. აკვიატაძე საავადმყოფოში მოათავსეს. მადლიანმა ექიმმა ორი დღის შემდეგ გამოაჯანმრთელა და სასტიკად აუკრძალა ყოველგვარი ტრანსპორტით მგზავრობა:

— თქვენ გადაღლილი ხართ! ხშირი მგზავრობისგან ფსიქოჰიპნოზური რეციდივები გაქვთ! ამ ბოლო დროს მომრავლდნენ ასეთი ავადმყოფები. ჯერ მედიცინას ფუნდამენტურად არ შეუსწავლია ეს დაავადება...

— მე მივლინება მაქვს მოსკოვში! აუცილებლად იქ უნდა ვიყო! პრემიები, პრემიები იკარგება! პირადად ჩემი ექვსი თვის!..

— ფეხით შეგიძლიათ მხოლოდ!

— მმმ! — სასოება დაკარგა აკვიატაძემ.

... მეორე დღეს აკვიატაძე შეუერთდა ფეხით მოსიარულეთა ტურისტულ ჯგუფს... მოსკოვში ჩასვლისთანავე ტელევიზიის კამერები ულაპავდნენ მის გარუჯულ სახეს. ტელევიზორში ჩანდა რუბრიკა: „ თუ გინდა, რომ ჯანმრთელი იყო!“ აკვიატაძე ტელეკორესპონდენტს ინტერვიუს აძლევდა:

— განზრახული მაქვს, მოსკოვიდან თბილისში ფეხით ჩავიდე!

თბილისში კი აკვიატაძის სამმართველოს უფროსი ტელევიზორს თვალს არ აცილებდა, თითებს იჭამდა...

მეორე დღეს დაიწერა ბრძანება: **„ სამსახურის პერიოდში მივლინების ბოროტად გამოყენების გამო, კერძოდ, — ფეხით ტურისტულ მოგზაურობაში წასვლისათვის ამხ. ა. ნ. აკვიატაძე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან! ასლი გადაეგზავნოს მის ტურისტულ ჯგუფს!“**

ავთანდილ ადეიშვილი

№ 856 75
18.XII

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტაცება

მოიტაცეს პელაგია —
დამდნარი და დალეული!..
ამ ამბავმა გააოცა
შინაურიც, გარეულიც...
მოიტაცეს ჩხუბით, დავით,
მუშტი-კრივით, ხანჯლით, კეტით...
საცოდავი ბერი ქალი,
ოთხმოცი წლის, კიდევ მეტის...
მოიტაცა უმცროსმა ძმამ
უფროსი ძმის ოჯახიდან;
მოიტაცა, მაგრამ მერე
საქმე სულმთლად გაჯახირდა:
უფროსი ძმა შეიშალა,
მისი ცოლიც გადირია:
— ეს რა გვიყო სახლიკაცმა,
კაცია თუ ნადირია?!
არ ახსოვდა სულაც დედა —
ავადმყოფი და სნეული...
ახლა გახდა ძვირფასი და
ახლა გახდა ფასეული?!
პელაგია იწვა საწყლად,
მოეჭმუხნა მძიმედ შუბლი,
სამუდამოდ ჩაძინებულს
არ ესმოდა შვილთა ჩხუბი...
გვიან-გვიან შეწყდა დავა.
ხალხის თხოვნა, ხვეწნა, აჯა;
დედა დარჩა გამტაცებელს,
უმცროსმა ძმამ გაიმარჯვა!..
და გაშალა საქელეხოდ
სეფა დიდი, დიდი სეფა,
იყო ერთი ღრიანცელი,
ღვინის სმა და ფულის კრეფა.
... უფროსი ძმა ფულსა გლოვობს, —
ათიანებს, ასიანებს!..
უმცროსი კი ახალ „ვოლგით“
აღმა-დაღმა დასრიალებს!..

ნოდარ შამანაძე

ნახ. ბ. აბაშიძისა

— შეთავსებით რომ შვიდ ადგილას მუშაობ, არ იღლები?!
— ჯამაგირის აღების დროს ნამდვილად ვიღლები!

სნეული ძმის გასაჭირი

ავად გახდა უმცროსი ძმა, ჭინჭარივით აყვავდა...
სამსახური მივატოვე, სახლში არვინ არ მყავდა.
შინ შესვლაც კი არ მაცალა (კაცი სიცხით იწვოდა!)
ლოგინიდან თამბაქოსთვის ხურდა გამომიწოდა:

„თუ კაცი ხარ, ივლიანე, არ გაბრიყვდე „დაისით“,
არც „თბილისმა“ შეგაცდინოს „უმაღლესი“ ხარისხის!
„პრიმას“ ახლა ვინ ეწევა, გასულია მოდიდან.
ახლა ყველა „მზიურს“ ეძებს, ან „ლუქსს“, ანდა „კოლხიდას“...

მე რომ ჩემს ძმას ცუდი ჩვევა დავუშალო, — წესია!
მაგრამ, თურმე, ზოგი ჩვევა რჯულზე უმტკიცესია.
დავურბინე მყისვე ქალაქს, მზე მაჭერდა ივლისის...
ყველგან „პრიმა“ ალაგია, „დაისი“ და „თბილისი“.

— „ივერია“ რამ გაწყვიტა? ჰყიდით რატომ აღარა?
მიპასუხეს: „ჩვენ რას გვერჩი, რემონტი აქვს ქარხანას!“
ვინც იმეტებს ცოტა ზედმეტს, ჩუმად „მზიურს“ ღებულობს,
ასე მიდის „რიწა“, „ლუქსი“... ხალხი? ვინ რას გებულობს!
...ამ თამბაქოს გადამკიდეს ეს რა ჭირი მომკიდეს!
თაფლი არ მსურს! სნეულ ძმისთვის შხამს გთხოვ! შხამი
მომყიდეთ!

მურად კერძევაძე

ნიანგის ფოსტა

ქ. მახარაძიდან წერილი მივიღეთ. მისი ავტორი ზოგადად მიუთითებდა, რომ ვაჭრობის ქსელში არის უხეში დარღვევები, ფასების დამახინჯება, მომხმარებლის ზომა-წონაში შოტყუება და სხვა მახინჯი მოვლენები.

რედაქციამ წერილი სქ. კპ მახარაძის რაიკომს გადაუგზავნა, საიდანაც პასუხი მივიღეთ. „...პარტიის რაიკომის ბიურომ ღრმად და პრინციპულად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო სათანადო დადგენილება. „საქვაჭრობის“ მახარაძის განყოფილების მმართველს ამხ. ო. ხელაძეს, მმართველის მოადგილეს ამხ. ვ. გოთუასა და საზკვების გაერთიანების დირექტორს ამხ. ი. ბილიხოძეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. ასევე პარტიული სასჯელები დაედოთ რაისამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ალ. ღლონტს, ნასაკირალის მუშათა, ნატანებისა და მერიის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეებს ამხ. ს. კოსტავას, არ. ღლონტსა და ა. ვეხაძეს.

დაისახა ღონისძიებანი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად“.

* * *

ბორჯომიდან გვწერდნენ: ახალშენის ქუჩის II შესახვევში ვცხოვრობთ და ჩვენს შესახვევში შეხვევა გვიძნელდება, კეთილმოუწყობელია. შეკეთებას საჭიროებსო.

აღნიშნული წერილი გადაეგზავნა ბორჯომის რაიონის ფორომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასკომმა „გვიპასუხა: „...**გაცნობებთ, რომ ახალშენის ქუჩის II შესახვევი შეკეთებულია**“.

* * *

ფოთიდან ზ. რუხაძის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი მივიღეთ. ავტორები გულისტკივილს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, რომ აღნიშნული ქუჩა დაზიანებულია, საჭიროებს კეთილმოწყობას, მოხრეშვას, ასფალტის დაგებას, რათა ამ ქუჩაზე შეიქმნას ნორმალური მიმოსვლის საშუალება. რედაქციამ წერილი ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადაუგზავნა. საქალაქო საბჭომ გვიპასუხა: „...**გაცნობებთ, რომ ზ. რუხაძის ქუჩის მცხოვრებთა წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეიცავს. აღნიშნული ქუჩის კეთილმოწყობის საკითხი განხილულ იქნა ამა წლის პირველ კვარტალში მოიხრეშა ქუჩის დოზირებული მონაკვეთი.**

...ქუჩის ასფალტირება და მთლიანი განათება გათვალისწინებული იქნება **1976** წლის კეთილმოწყობის გეგმის შედგენისას“.

ნახატი თემების ავტორები: ბ. აბაშიძე, გ. თოკაძე, გ. ლომაძე, დ. ხუროძე, ვ. ფირცხალავა, ნ. ქელეხსაშვილი.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გეგეჭკორი**

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კალიაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ვ. ნოზნიანიძე, ვ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე.

⊙ **სარედაქციოს მისამართი:** ტბილისი, რუსთაველის პრ. № 42, ⊙ **საკორესპონდენციო მისამართი:** ტბილისი, ⊙ **ტელეფონები:** რედაქტორი 27/XI-75 წ. ⊙ **ბიუროებისა** 27/XI-75 წ. ⊙ **ანგარიშსწორება** 10/XI-75 წ. ⊙ **ბეჭდვა** 70×108 1/8 ⊙ **ფორმატი** 1. **ფურცელი** 1. **ალრიცხვა-საბეჭდავი თაბახი** 1,4 ⊙ **ტირაჟი** 135.070. ⊙ **ფასი** 4069. **ფუ** 02093. **ტირ.** 135.070. ⊙ **ტბილისი,** pr. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ **Издательство** ЦК КП Грузии. ⊙ **Типография** Издательства ЦК КП Грузии, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

7-1975

75-856

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომიძისა

Индекс 76137

ვაშინგტონმა ტელ-ავივს მისცა საიდუმლო რწმუნებულება, რომ ისრაელის შეიარაღებული ძალები მომარაგებული იქნება რაკეტა „პერშინგით“ და სრულიად ახალი ტიპის გამანადგურებელი ბომბდამშენით „F-16“. ეს ისრაელს გაუზრდის სამხედრო-ეკონომიურ დახმარებას წელიწადში 2,5 მილიარდ დოლარამდე.

„ისრაელს სჭირდება გრძელი ხელები, რათა შეინარჩუნოს სინას დაბლობი!“ — აცხადებენ ისრაელის მმართველი წრეები.

ახალი ბრჭყალები